



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ილია კაპანაძე

დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობების
დასაბუთების გზა და მათი პრობლემები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა,
ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სამართლის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ ლომსაძე,
პროფესორი

2020

გორი

ანოტაცია

დამნაშავის შეპყრობა ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სიახლეს არ წარმოადგენს. დამნაშავის შეპყრობის ინსტიტუტის ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შემოტანის შესახებ საკითხი პირველად დასვა პროფესორმა თ. შაგულიძემ გასული საუკუნის 80-იან წლებში. ნაშრომში მოცემულია დამნაშავის შეპყრობის ცნება, მისი მართლზომიერების ფარგლები, მართლზომიერების ფარგლების გადამეტება და ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული სხვა პრობლემებია გადაწყვეტილი.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა პირს.

Annotation

I. Kapanadze

II.

Method of substantiating the conditions for the legality of the detention of a criminal and

their problems

The issue of arresting a criminal is not a novelty in Georgian criminal law. Professor T Shavgulidze was the first who arose a question of including the questions connected with arresting a criminal in Georgian criminal law in the 80s of the 20th century. The thesis covers the issues such as the concept of arresting a criminal, staying within the bounds of law and going beyond the bounds of moderation while arresting a criminal and it also suggests solutions of the problems connected with this issue.

The thesis will be helpful for everyone who is interested in this question.

შინაარსი

შესავალი -----	5
თავი 1. დამნაშავის შეპყრობის ცნება და მისი მართლზომიერების საფუძვლები -----	6
თავი 2. დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობები -----	9
თავი 3. დამნაშავის შეპყრობის უფლების აღმოცენებისა და შეწყვეტის პირობები -----	10
თავი 4. დამნაშავის შეპყრობის დროს მისთვის ზიანის მიყენების მართლზომიერების პირობები -----	20
თავი 5. პასუხისმგებლობა დამნაშავის შეპყრობის ფარგლების გადამეტებისათვის ----	33
თავი 6. მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით -- -----	36
თავი 7. ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით -----	43
დასკვნა -----	46
გამოყენებული ლიტერატურა -----	48

შესავალი

ჩვენი ქვეყნის უცვლელ ამოცანად რჩება კანონების მთელი ძალის გამოყენება დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბუნებრივია, რომ ამ ამოცანის გადასაჭრელად საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მოქალაქის აქტივობის ზრდას კანონების განმტკიცებისათვის და დანაშაულებასთან საბრძოლველად. ასეთ აქტივობას თან სდევს სამართლადამცველ და სამართალდამრღვევ მოქალაქეთა ურთიერთშეხების არეალის გაფართოება. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია ნორმები, რომლებიც უფლებას აძლევს მოქალაქეს ზიანი მიაყენოს თავდამსხმელს მისი მოგერიების დროს ანდა, ერთგვარ პირობებში, მესამე პირსაც სხვა სამართლებრივი ინტერესების დაცვისას, ხელმოფის დაკავებისას და სხვა. ასეთი ქმედებები გარეგნულად წააგავენ კოდექსის კერძო ნაწილს მუხლში აღწერილ ქმედებას, მაგრამ მართლსაწინააღმდეგობას არიან მოკლებულნი. ასეთ ინსტიტუტებს სისხლის სამართალში ზოგადად მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები ეწოდება. მათი გათვალისწინება სასამართლო პრაქტიკაში სირთულეს ბადებს, რადგან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ყველა გარემოებას მართლზომიერების თავ-თავისი პირობები გააჩნია და სწორედ მათ დადგენაზეა დამოკიდებული იმის გარკვევა, მართლზომიერად მოქმედებდა მოქალაქე თუ კანონს არღვევდა. ეს სირთულე სისხლის სამართლის მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობას ბადებს, ხოლო სასამართლო პრაქტიკაში ხშირად შეცდომებს. ამიტომ პრობლემის თეორიულად დამუშავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სისხლის სამართალში „დამნაშავის შეპყრობას“ ნაკლები ნაშრომი აქვს მიძღვნილი.

ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად შევავსოთ ეს ხარვეზი. ამ ნაშრომში შესწავლილია „დამნაშავის შეპყრობის“ თეორიული და პრაქტიკული პრობლემები.

თავი 1. დამნაშავის შეპყრობის ცნება და მისი მართლზომიერების საფუძვლები

აუცილებელი მოგერიების მიზანია დაიცვას სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე ხელყოფისაგან ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით. აუცილებელი მოგერიება მოქალაქეს უფლებას აძლევს მხარში ამოუდგეს სახელმწიფოს მართლწესრიგის დაცვის საქმეში. დანაშაულის თავიდან აცილება ყოველთვის როდი ხერხდება; მართლმსაჯულების განხორციელებისათვის კი საჭიროა დამნაშავის შესაბამის ორგანოებში წარდგენა, მისი შეპყრობა.

დამნაშავის შეპყრობა ხელისუფლების სათანადო ორგანოების ფუნქციასა და მოვალეობას შეადგენს; მაგრამ ამ ორგანოების საქმიანობა სათანადო ეფექტს ვერ გამოიღებს, თუ ამ საქმეში მათ საზოგადოების წევრები არ დაეხმარებიან. დამნაშავე ხშირად ცდილობს მართლმსაჯულებას დაემალოს, შეპყრობის დროს ზოგჯერ წინააღმდეგობასაც კი უწევს. ეს კი მოითხოვს დამნაშავის წინააღმდეგობის დათრგუნვას, რაც ზოგჯერ მის დაშავებას იწვევს.

ბუნებრივია, იზადერბა კითხვა: აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება შეიპყროს დამნაშავე? ადამიანის შეპყრობა ხომ მისთვის თავისუფლების, თუნდაც ხანმოკლე აღკვეთას გულისხმობს? უფრო მეტიც, აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება დამნაშავე დააშავოს შეპყრობის დროს?

კოდექსისი 29-ე მუხლის თანახმად, „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად“...

მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი დამოუკიდებელი გარემოებაა, რომელსაც მართლზომიერების თავისი პირობები გააჩნია.

დამნაშავის შეპყრობა ვნების მიყენებით, რომელიც სხვა შემთხვევაში სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევდა, თუ დაცულია მართლზომიერების პირობები, არა მარტო გამორიცხავს ყოველგვარ პასუხისმგებლობას, არამედ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობასაც. ამ ინსტიტუტის მიზანია დაიცვას ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულება

დამნაშავის შეპყრობის ინსტიტუტი ავითარებს მოქალაქეთა მართლშეგნებას, მართლწესრიგის დაცვის მოთხოვნილებას, მათ აქტივობას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

დამნაშავის შეპყრობის მოვალეობაა, საგანგებო სახელმწიფო ორგანოებს აწევთ. მაგრამ მხოლოდ მათ ამ ფუნქციის განხორციელება გაუჭირდებათ, თუ ამ რთულ საქმეში ხალხი არ დაეხმარა, თუ მოქალაქეს უფლება არ ექნება თვით შეიპყროს დამნაშავე და ამ მიზნით ზიანიც კი მიაყენოს მას. „ასეთი უფლების გარეშე მოქალაქეთა მონაწილეობას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ქმედითობა დაეკარგება, ხოლო დამნაშავეს გაუადვილდება მართლმსაჯულებას გაექცეს“¹

დამნაშავის შეპყრობის უფლების აღიარებას აგრეთვე ზოგადპრევენციული მნიშვნელობა აქვს. კანონმდებლის მიერ იმის გამოცხადება, რომ ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დააკავოს დამნაშავე მისთვის ზიანის მიყენებით, დამნაშავეზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს, უძლიერებს მას რწმენას სასჯელის გარდუვალობის შესახებ, რაც თავის მხრივ, ზოგჯერ დანაშაულის ჩადენისაგან თავის შემაკავებელ მძლავრ ფაქტორად შეიძლება მოგვევლინოს.

დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერება აიხსნება არა იმით, რომ ამ ვითარებაში ზიანი აღდება დამნაშავის სამართლებრივ ინტერესებს, არამედ იმით, რომ დამნაშავისთვის ზიანის მიყენება არის მისი დაკავების და მასზე მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი საშუალება.

ამრიგად, მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობის დაუსჯელობის საფუძვლად დანაშაულის ფორმალური ნიშნის - მართლწინააღმდეგობის არ არსებობა გვევლინება. მართლწინააღმდეგობის არ არსებობს საფუძველი კი თვით ამ ქმედების მართლზომიერ ხასიათში ძვეს.

მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობის საკანონმდებლო წესით აღიარებას, როგორ უკვე აღვნიშნეთ, სარგებლობა მოაქვს მართლწესრიგისათვის.

დამნაშავის შეპყრობის ინსტიტუტი ყველა მოქალაქეს უფლებას აძლევს დააკავოს დამნაშავე. მოქალაქეს, რა თქმა უნდა, არ აქვს ამგვარი მოქმედების შესრულების სამართლებრივი ვალდებულება. ამიტომ. თუ მოქალაქე დამნაშავეს არ შეიპყრობს,

¹ თ. შავგულაძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988, გვ 159.

ამისათვის არ დგება არც სისხლისსამართლებრივი და არც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ასეთ ვითარებაში მოქალაქე შეიძლება გაიკიცხოს მორალურად და ისიც, როცა დამნაშავეს შეპყრობა დიდ საფრთხესთან არ იყო დაკავშირებული.

თავი 2. დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობები

დამნაშავის შეპყრობა, ე.ი. მისთვის მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა, ან შეპყრობის დროს ზიანის მიყენება, მართლზომიერია იმ შემთხვევაში, როდესაც დაცულია მთელი რიგი პირობები. ამ პირობებს მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობები ეწოდება. როგორც წესი, მართლზომიერების პირობებს კანონი ადგენს, ზოგიერთი მათგანი კანონში პირდაპირ არის მითითებული, ზოგი კი კანონიდან გამომდინარეობს. თეორია და სასამართლო პრაქტიკა კი მათ აზუსტებს.

ამრიგად, სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა ზოგადად მიუთითებს იმ პირობებს, რომელნიც წარმოშობენ დამნაშავის შეპყრობის უფლებას და რა პირობებში შეიძლება დამნაშავის დაზიანება. აქვე დავძენთ, რომ კანონმდებლობა ამომწურავად არ ჩამოთვლის იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების დასადგენად. ეს ვალდებულება სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკას აწევთ, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეისწავლონ დამნაშავის შეპყრობის ინსტიტუტი, ჩაწვდნენ მის არსს, გაანალიზონ გარემოებანი, რომლებიც წარმოშობენ დამნაშავის შეპყრობის ვითარებას და რომლებიც უნდა დაიცვას მოქალაქემ დამნაშავის შეპყრობის დროს.

დამნაშავის შეპყრობის პირობები შეიძლება ორჯგუფად დავყოთ:

- 1) დამნაშავის შეპყრობის უფლების აღმოცენებისა და შეწყვეტის პირობები
- 2) დამნაშავის შეპყრობის დროს ზიანის მიყენების მართლზომიერების პირობები.

თავი 3. დამნაშავის შეპყრობის უფლების აღმოცენებისა და შეწყვეტის პირობები

დამნაშავის შეპყრობის უფლება საზოგადოდ ყველა მოქალაქეს აქვს. მაგრამ იმისთვის რომ მოქალაქემ სათანადო ვითარებაში ეს უფლება განახორციელოს საჭიროა შეიქმნას გარკვეული მდგომარეობა. სისხლის სამართლის კანონმდებლობით ეს ვითარება წარმოიშობა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროს.

შესაბამისი საკანონმდებლო აქტი მიუთითებს, რომ მოქალაქეს შეუძლია შეიპყროს მხოლოდ დამნაშავე. ასეთსავე პოზიციას გამოხატავენ საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. ამ პოზიციაზე დგას სისხლის სამართლის თეორიაც. უდავოა, რომ მოქალაქეს არა აქვს უფლება დააკავოს კაცი, რომელმაც დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სხვა სამართალდარღვევა ჩაიდინა.

მხედველობაშია მისაღები, რომ აუცილებელი მოგერიების ცნების განსაზღვრისას კანონმდებელი მიუთითებს, რომ აუცილებელი მოგერიების უფლებას წარმოშობს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუნდაც ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში ჩადენილი. შეიძლება თუ არა დამნაშავე ამ სიტყვის პირდაპირ სამართლებრივი მნიშვნელობით და უფლება არა აქვს დააკავოს შერაცხვისუუნარო პირი, რომელმაც მძიმე დაზიანება მიაყენა სხვას?

კანონის მითითება „დამნაშავის“ დაკავებაზე პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. აქ იგულისხმება პირი, რომელმაც ისეთი მოქმედება ჩაიდინა, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარსდგეს. შერაცხვისუუნარო პირი არ შეიძლება დამნაშავედ ვცნოთ და შევუფარდოთ მას სასჯელი. ჩვენი აზრით, მოქალაქეს შერაცხვისუუნარო პირის დაკავების უფლება უნდა ჰქონდეს.

იბადება კითხვა, ყოველგვარი დანაშაულის ჩადენა წარმოშობს დამნაშავის შეპყრობის უფლებას, თუ კანონი რაიმე შეზღუდვას ადგენს?

მეცნიერთა უმრავლესობა გვერდს უფლის ამ საკითხს და კმაყოფილდება იმაზე მითითებით, რომ მოქალაქემ შეიპყროს მხოლოდ დამნაშავე, რომლის დანაშაული ექვს

არ იწვევს.¹ ი. ტიშკევიჩი ცდილობს გადაწყვიტოს ეს საკითხი საპროცესო კანონმდებლობის მოშველებით.²

ჩვენი აზრით, ი. ტიშკევიჩი სწორია. გაუმართლებელია მოქალაქეს უფლება ჰქონდეს შეიპყროს დამნაშავე ისეთი მსუბუქი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც კანონი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ამგვარმა უფლებამ ხშირად შეიძლება გამოიწვიოს დამნაშავის გაუმართლებელი დაშავება ან სახიფათო კონფლიქტი დამნაშავესა და მოქალაქეს შორის.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დამნაშავის დაკავებას, როგორც პროცესუალურ ღონისძიებას და არაფერს ამბობს მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობაზე, ხოლო სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიუთითებს იმაზე, რომ მოქალაქეს უფლება აქვს შეიპყროს დამნაშავე და არავითარ შეზღუდვას არ აწესებს დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებებით.

დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს როგორც ზოგადმა სუბიექტმა, ისე სპეციალურმა სუბიექტმა. იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა მოქალაქემ დააკავოს თანამდებობის პირი, სამხედრო მოსამსახურე, ან პოლიციის თანამშრომელი რომელმაც დანაშაული ჩაიდინა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ საკითხზე რაიმე მითითებას არ იძლევა, არაფერი თქმულა ამაზე არც სისხლის სამართლის თეორიაში.

თანამდებობის პირს, რასაკვირველია, რაიმე უპირატესობა კანონის დარღვევაში არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ კანონმა არ შეიძლება დანაშაულის სუბიექტით შეზღუდოს დამნაშავის შეპყრობის უფლება. თუმცა თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს იშვიათად იქნება ისეთი პირობები, რომლებიც მოქალაქეს უფლებას ანიჭებენ დააკავოს თანამდებობის პირი. ეს იმიტომ, რომ თანამდებობის პირის ვინაობა, მისი სამსახურეობრივი და საცხოვრებელი ადგილი ყველასთვის ცნობილია და მისი შეპყრობის საჭიროება არც კი წამოიჭრება, თანამდებობის პირის დაკავების უფლება არ წარმოიშობა, მაშინ როდესაც იგი მოქმედებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაგრამ ამეტებს თავის

¹¹ Баулин Юю Право граждан на задержание преступника по советскому уголовному законодательству, Москва, 1981. ст.10,

² Тишкевич и, Право граждан на задержание преступника, Москва, 1974. ст 183.

უფლებამოსილებას, ანდა ისე მოქმედებს, რომ მისი მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი არ არის აშკარა და მისი გამოვლინებისათვის საგანგებო საგამომიებო მოქმედებაა საჭირო.

თუკი თანამდებობის პირი, ან სხვა სპეციალური სუბიექტი ისე მოქმედებს, რომ ეს საქციელი საერთოდ არ შედის მის სამსახურეობრივ კომპეტენციაში (მაგალითად, სამხედრო მოსამსახურე აუპატიურებს ქალს, პოლიციის თანამშრომელი მონაწილეობს ძრცვაში და ა.შ.), მაშინ მოქალაქეს უფლება აქვს დააკავოს თანამდებობის პირი.

დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. დამნაშავის შეპყრობის უფლების წარმოშობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მოქმედებითაა ჩადენილი დანაშაული, თუ უმოქმედობით, ორივე შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას დამნაშავის შეპყრობის უფლება.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არის პირდაპირი მითითება იმაზე, თუ დანაშაულის ჩადენის რა მომენტიდან აღმოცენდება დამნაშავის შეპყრობის უფლება.

სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმულია შეხედულება, ვითომ დამნაშავის შეპყრობის უფლება წარმოიშობა დანაშაულის მომზადების სტადიიდან¹. ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმებით. დანაშაულის მომზადების, განსკუთრებით კი მცდელობის სტადიაზე, სამართლით დაცულ ობიექტს ხშირად უშუალო და რეალური საფრთხე ემუქრება. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად ლაპარაკობენ მართლწინააღმდეგობის თაობაზე, რომელიც აუცილებელი მოგერიების წარმოშობის ერთ-ერთი ნიშანია.

სისხლის სამართლის თეორიაში აუცილებელ მოგერიებისა და დამნაშავის შეპყრობას სწორედ იმ ნიშნით მიჯნავენ, რომ რეალური საფრთხის არსებობის დროს წარმოიშობა აუცილებელი მოგერიების ვითარება, ხოლო დამნაშავის შეპყრობის უფლება კი აღმოცენდება ასეთი საფრთხის შეწყვეტის შემდეგ.² ე.ი. მას შემდეგ როდესაც სამართლით დაცულ ობიექტს საფრთხე აღარ ემუქრება და დამნაშავე მიმალვას ცდილობს. მნიშვნელობა არა აქვს ხელყოფის ობიექტი უკვე განადგურდა თუ

¹ Баулин Ю., Право граждан на задержание преступника по советскому уголовному законодательству, Москва, 1981, ст 10,

² Шавгулидзе Т., Необходимая оборона, Тбилиси, 1966, ст 138,

დამნაშავემ ხელი აიღო ხელყოფაზე, თუ დაკავებისას დამნაშავემ პასიურ წინააღმდეგობას უწევს მოქალაქეს. მისთვის ზიანის მიყენება დამნაშავეს შეპყრობის წესით განიხილება. თუ დამნაშავე მღევარისაგან თავის დაღწევის მიზნით თავს დაესხმის მას, მაშინ კვლავ აღმოცენდება აუცილებელი მოგერიების ვითარება. ასეთ ვითარებაში კი დამნაშავესათვის ზიანის მიყენება აუცილებელი მოგერიების უფლებად განიხილება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მოგერიებასთან ერთად ფაქტობრივად დამნაშავეს შეპყრობის მიზანიც არსებობდეს.

სისხლის სამართლის კურსის ავტორები თვლიდნენ, რომ დამნაშავეს დაკავების უფლება წარმოიშობა მაშინ, როდესაც ხელყოფა უკვე განხორციელდა. ზოგჯერ ხელყოფიდან მნიშვნელოვანი დროის გასვლის შედეგად. ეს ღონისძიება მიმართულია არა ფაქტობრივად არსებული ხელყოფის მოსაგერიებლად, არამედ აღუკვეთოს დამნაშავეს მომავალში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. თუმცა არსებობს კავშირი ჩადენილ დანაშაულსა და დამნაშავეს დაკავებასთან, მაგრამ იგი ისე აშკარად არ არის გამორიცხული, როგორც აუცილებელი მოგერიების დროს. აუცილებელი მოგერიების დროს დამნაშავე აქტიურ მხარედ გვევლინება; დაკავებისას იგი პასიურია.¹ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოქალაქის მიერ დამნაშავეს შეპყრობის მაგალითად ხშირად ისეთ შემთხვევებზე მიუთითებენ, როდესაც სახეზეა რეალური თავდასხმა.

მოვიყვანოთ მაგალითი: ავტობუსში მოქალაქე შინ-ს ჯიბიდან ფული ამოაცალეს. იგი დაედევნა ქურდს, წამოეწია პარკის უკაცრიელ ხეივანში და მოითხოვა ნაქურდალის დაბრუნება. ქურდმა ცემა დაუწყო მას, თან დაემუქრა, მოგკლავ თუ არ დამეხსნებიო. მოქალაქე შინ - მა იქვე რკინის ნაჭერს მოკრა თვალი, დააკლო ხელი და თავდასხმას იგერიებდა. შინ - მა რკინა თვალში მოარტყა ქურდს და მძიმედ დააშავა.²

ეს შემთხვევა მ. იაკუბოვიჩს მოაქვს როგორც მოქალაქის მიერ დამნაშავეს შეპყრობის მაგალითი. ჩვენი აზრით, შინ-ის მოქმედება აუცილებელ მოგერიებას წარმოადგენს და არა დამნაშავეს შეპყრობას. შინ-ი ქურდს რომ დაუხვდა ახორციელებდა დამნაშავეს შეპყრობის უფლებას, ვინაიდან იგი ახორციელებდა დამნაშავეს შეპყრობას, მას შემდეგ რაც ქურდმა ცემა დაუწყო შინ-ს და მოკვლით დაემუქრა, იგი უკვე თავის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას იცავდა.

¹ Курс советского уголовного права, Часть общая, III,1, Ленинград, 1968,ст 501,

² Якубович М, Вопросы теории и практики необходимой обороны, Москва, 1961, ст 187,

მ. იაკობოვიჩი აკრიტიკებს ნ. პაშე-ოზურსკის, რომელიც ქურდის ქონების დაბრუნებას განიხილავს აუცილებელ მოგერიებად, ხოლო მოქმედებაში რომელიც მიმართულია მკვლელის შეპყრობისაკენ გამორიცხავს აუცილებელ მოგერიებას. ნ. პაშე-ოზურსკის თქმით, შეიძლება დავასკვნათ, წერს იაკობოვიჩი, თითქოს ქონებრივი უფლებების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პიროვნების სიცოცხლისა, ჯანმრთელობისა და ღირსების. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მიუღებელი იქნებოდა სამართლისათვის, რადგან სავსებით ნათელია, რომ მკვლელი უფრო საშიშია, ვიდრე ქურდი, რომელმაც ესა თუ ის ქონება გაიტაცა.

ჩვენი აზრით, მ. იაკობოვიჩის მსჯელობა არაზუსტია. დებულება, თითქოს დამნაშავის შეპყრობა, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა აუცილებელ მოგერიებას არ წარმოადგენს, ხოლო ქურდის შეპყრობისაკენ მიმართული ღონისძიებანი შეიძლება განვიხილოთ აუცილებელ მოგერიებად, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ქონება უფრო მეტად ფასდება, ვიდრე სიცოცხლე. ვინაიდან მოქმედების აუცილებელ მოგერიებად განვიხილვისას მნიშვნელობა ენიჭება არა ხელყოფის ობიექტის ღირებულებას, არამედ ამ ობიექტის დაცვის რეალურ შესაძლებლობას. პირველ შემთხვევაში გამორიცხულია ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესაძლებლობა, რადგან იგი უკვე მოსპობულია: მეორე შემთხვევაში კი მოქმედება მიმართულია ფაქტობრივად ჯერ კიდევ არსებული ქონების დაცვისაკენ. სწორედ ამიტომ განიხილება მოქმედება აუცილებელ მოგერიებად.

ამრიგად, მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობის უფლების წარმოშობის მომენტს წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების ვითარების შეწყვეტა. აუცილებელი მოგერიების ვითარება კი წყდება ხელყოფის შეწყვეტასთან ერთად.

სისხლის სამართლის თეორია და პრაქტიკა ხელყოფის შეწყვეტას არ უკავშირებს დანაშაულის იურიდიულ დამთავრებას აუცილებელი მოგერიების ვითარების შეწყვეტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იურიდიულ ნიშანს, არამედ, ხელყოფის ფაქტობრივად დამთავრებას.¹ „ამ საკითხის გადაწყვეტა სხაგვარად არც კი შეიძლება - წერდა თ. შავგულიძე, - რადგან სამართლით დაცული ობიექტის დაზიანების საკითხის შეწყვეტა ყოველთვის არ ემთხვევა ქმედების შემადგენლობის

¹ Слущкий И, Обстоятел, исключаяшле уголовную ответственность, Москва, 1956, ст 59

შესრულებას“.¹ მაგალითად, კოდექსისი 179-ე , მუხლის თანახმად, ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის დროიდან, მაგრამ აუცილებელი მოგვირების ვითარება არ შეიძლება შეწყდეს თავდასხმის მომენტში, რადგან ამ ვითარებასთან დაკავშირებული არ არის ნამდვილი საშიშროების შეწყვეტა. აქედან გამომდინარე, ყაჩაღობის, როგორც დანაშაულის იურიდიული დამთავრების შემდეგაც თავდასხმა სახეზეა და წყდება მხოლოდ მისი ფაქტობრივად დამთავრების შედეგი, ე.ი. მას შემდეგ, რაც დამნაშავისათვის ზიანის მიყენება აღარ გამოდგება კონკრეტული სამართლებრივი ობიექტის დასაცავად. სწორედ ამ მომენტიდან შეიძლება წარმოიშვას დამნაშავის შეპყრობის უფლება.

უკრაინის და უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსები პირდაპირ მიუთითებენ მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობის უფლების შეწყვეტის დროზე. ამ საკანონმდებლო აქტებში მითითებულია, რომ მოქალაქეს უფლება აქვს შეიპყროს დამნაშავე უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. ასეთივე, თვალსაზრისია გატარებული მონღოლეთის, ჩეხოსლოვაკიის და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსებში.

სისხლის სამართლის თეორიტიკოსების ერთი ნაწილი მხარს უჭერს საკითხის ასეთ გადაწყვეტას. ჯერ კიდევს მე - 20 საუკუნის დასაწყისში ს. პოზნიშევი აღნიშნავდა, რომ სუბიექტს უფლება უნდა ჰქონდეს ძალის გამოყენებით შეიპყროს დამნაშავე, რომელსაც დანაშაულის ადგილზე წაუსწრო, დანაშაულის ჩადენის დროს ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება უამრავ შეცდომებს და ამ უფლების ბოროტად გამოყენებას. იშვიათად ვხვდებით შეცდომებსა და დამნაშავის შეპყრობის უფლების ბოროტად გამოყენებას როდესაც დამნაშავეს იპყრობენ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ანდა ყოველ შემთხვევაში უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, სამოქალაქო თავისუფლებისა და სისხლისსამართლებრივ მართლმსაჯულების ინტერესები შეთანხმებულნი უნდა იყვნენ, ასკვნის პოზნიშევი. ამ შეხედულებას, მე - 20 საუკუნის დასასრულს, სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც ჰყავს მომხრეები.²

¹ თ. შავგილიძე, ლ. სუტგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომტიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988, გვ 168.

² Советское уголовное право, 4 общая, Москва, 1981, ст 191,

ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე - 13 მუხლი უფლებას აძლევს მოქალაქეს შეიპყროს დამნაშავე და მას დროში არ ზღუდავს. სისხლის სამართლის თეორიტიკოსების უდიდესი უმრავლესობაც სწორედ ამ თვალსაზრისის იზიარებს. მათ საბუთათ ის მოაქვთ, რომ არ შეიძლება მოქალაქეს ავუკრძალოთ შეიპყროს დამნაშავე დანაშაულის ჩადენის შემდეგაც ვინაიდან ამას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ინტერესები მოითხოვს.¹ ჩვენ ვიზარებთ ამ შეხედულებას. მნელია გავამართლოთ მოქალაქის დასჯა იმისათვის, რომ მან შეიპყრო დამნაშავე არა დანაშაულის ჩადენისთანავე, არამედ რამდენიმე დღის შემდეგ. ასეთი სასჯელი მოკლებული იქნება ყოველგვარ სამართლიანობას, რადგან ობიექტურად მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობა ერთნაირად სასარგებლოა მართლწესრიგისათვის, იმისდა მიუხედავად დანაშაულის ჩადენისთანავე ხორციელდება იგი, თუ დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმულია შეხედულება, თითქოს დამნაშავის შეპყრობის უფლება წყდება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის, გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ.² ეს მოსაზრება სწორი და ლოგიკურია. დამნაშავის შეპყრობის მიზანია დამნაშვეზე მართლმსაჯულების განხორციელება. პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ კი კანონით დამნაშავის გასამართლება ან გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულება არ შეიძლება. ასეთ ვითარებაში კი მოქალაქეს არ შეიძლება უფლება ჰქონდეს შეიპყროს დამნაშავე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ხანდაზმულობის ვადებს აწესებს კოდექსის 71-ე მუხლი, რომლის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

1. ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 2 წლით თავისუფლების აღკვეთას;
2. ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
3. ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

¹ Советское уголовное право, Общая часть, Москва, 1980, ст 221

² Тишкевич И., Право граждан на задержание преступника, Минск, 1974, ст 61

4. თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე - 342' მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, თუ ისინი არ მიეკუთნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;
5. ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრელდებული სახით პასუხისგებაში მიცემამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადით თავისუფლების აღკვეთით.

ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების წესს გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო წესრიგდება კოდექსის 76-ე მუხლით, რომლის თანახმად, მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში:

1. ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;
2. ექვს წელში სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;
3. ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

4. თსუთმეტ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.

ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება სასჯელის მოხდისაგან თავის არიდებამდე გასული დრო.

საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა ვადაშიც იცავს პირს იმუნიტეტი.

„ყველა იმ შემთხვევაში, - წერდა ი. ტიშკევიჩი, - როცა ხანდაზმულობის გამოყენების საკითხს სასამართლო წყვეტს ან ხანდაზმულობის გამოყენება საერთოდ არ ხდება, მოქალაქეს უფლება უნდა ჰქონდეს დააკავოს დამნაშავე.“¹

არ შეიძლება აქვე არ გავამახვილოთ ყურადღება, შეიძლება თუ არა მოისპოს დამნაშავის შეპყრობის უფლება თუ კი დამნაშავეს ამინისტია შეეფარდება? ამ საკითხის გადასაწყვეტად თვით ამინისტის ბუნება უნდა გავარკვიოთ. კოდექსის 77-ე მუხლის თანხმად, ამინისტას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

ამინისტის აქტს მოჰყვება შემდეგი სამართლებრივი შედეგი:

1. დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან;
2. მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან;
3. მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს;

¹ Тишкевич И., Право граждан на задержание преступника, Минск, 1974, ст 64

4. მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით;

5. სასჯელმოხდილს შეიძლება მოეხსნას ნასამართლეობა.

ჩვენი აზრით, ამინისტის აქტით დამნაშავეს შეპყრობის უფლება შეიძლება მოისპოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ან დამნაშავე თავისუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან თუ მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან.

თავი 4. დამნაშავის შეპყრობის დროს მისთვის ზიანის

მიყენების მართლზომიერების პირობები

დამნაშავის დაკავების უფლება გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მოქმედებისათვის, რომელიც სხვა შემთხვევაში სასჯელის საფუძველი შეიძლება გახდეს აქედან გამომდინარე არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს ამ უფლების არსებობას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმისათვის, ვინც დანაშაულის სობიექტი შეიძლება იყოს. დამნაშავის შეპყრობის უფლება გამორიცხავს არა მარტო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ ქმედების მართლწინააღმდეგობასაც. სრულიად სხვადასხვა არის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება შეურაცხყოფის საბაზით და დამნაშავის შეპყრობის გამო.

ამრიგად, დამნაშავის შეპყრობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც კონკრეტულ ვითარებაში შეუძლია შეიპყროს დამნაშავე.

დამნაშავის შეპყრობის მიმართ სხვადასხვა კაცს სხვადასხვაგვარი ვალდებულება აწევს - ზოგს მორალური, ზოგსაც სამართლებრივი. მოქალაქეს მორალური ვალდებულება აქვს შეიპყროს დამნაშავე; პოლიციის თანამშრომელს და სხვა სამართლადამცავი ორგანოს სობიექტს კი ასეთი მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება აკისრიათ. ამგვარი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი შეიძლება დაეკისროთ, და თუ დამნაშავეს საგანგებო სუბიექტი იპყრობს, მაშინ საქმე გვაქვს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად, რომლის მართლზომიერების პირობებს სხვა საკანონმდებლო აქტები ადგენენ.

პირს დაკავების პირობებს ადგენს და განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის მტკიცე და განუხრელი დაცვის საფუძველზე საკითხებს დაკავების შესახებ განიხილავს და წყვეტს საპროცესო კოდექსი. მოცემული კოდექსის 141-ე მუხლი განმარტავს დაკავების გამოყენების ცნებას და მიზანს, რომლის თანახმადაც დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომელიც გამოიყენება, თუ არსებობს საკმაო საფუძველი ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელის თავისუფლების აღკვეთის სახით,

მისი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დამალვის ამ მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან ასაცილებლად.

დაკავების საფუძვლებს აწესებს საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები:

1. პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
2. თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;
3. პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
4. პირი მიიძალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიანო დაზარალებულმა;
5. პირის მიმართ გამოტანიულია განჩინება (დადგენილება) ძეზნის წარმოების შესახებ.

ამ საკითხს განსხვავებულად უდგება საპროცესო კოდექსის პროექტი. სახელდობრ, დაკავების საფუძვლებში დამატებულია ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გარდა კიდევ ორი პირობა:

1. პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყონებლივ ხორციელდება დევნა მისი დაკავების მიზნით; და
2. პირი შესაძლოა მიიძალოს.

პირის დაკავების უფლება მინიჭებული აქვს საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლის შესაბამისად, პოლიციის თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, გამომძიებელს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს უფლება აქვს დააკავოს და დაუყონებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართლადამცავ ორგანოში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი.

როგორც კანონიდან ჩანს დასახელებულ პირებს ეჭვმიტანილის დაკავების უფლება აქვთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ უკავიათ პასიური მდგომარეობა. საკმარისია მათ გამოავლინონ დაკავების რაომელიმე საფუძველი, მათი

უფლებამოსილება დაკავებისა გადაიქცევა ვალდებულებად. გამონაკლისს წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომელსაც ექვმიტანილის დაკავების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პირს წაასწრებს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე.

საპროცესო კოდექსის პროექტის 169-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირს დაკავების უფლება არც ერთ შემთხვევაში არ წარმოიშობა. მაგრამ ამავე დროს ფიზიკურ პირს ეკისრება ვალდებულება მომხდარი დანაშაულის შესახებ შეატყობინოს სათანადო სახელმწიფო ორგანოებს ან თანამდებობის პირებს. კოდექსის 376-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის, რომელიც შემდეგი შინაარსითაა გადმოცემული „დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული“...

დაკავება არ შეიძლება ნებისმიერი პირისა. საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც დაკავებისას სარგებლობენ იმუნიტეტით. იმუნიტეტი ლათინური სიტყვაა ნიშნავს განთავისუფლებას რამესაგან, ხოლო სამართლებრივად ცალკეული პიროვნების ხელშეუხებლობას, მაზე ზოგიერთი კანონის გაუვრცელებლობას.¹ საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც არ შეიძლება დაკავებულნი იყვნენ, რადგან სარგებლობენ იმუნიტეტით, სახელდობრ, არ შეიძლება დაკავებული და პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში წარდგენილ იქნენ: დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სახალხო დამცველი, მოსამართლე. ეს აკრძალავს, საქართველოს პრეზიდენტის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების გარდა, არ ვრცელდება სხვა პირებზე, რომლებსაც წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე.

საპროცესო კოდექსის პროექტის 170-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება დაკავებული იქნენ: დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი,

¹ უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1973. გვ 166.

საქართველოს კონტროლის პალატის თავჯდომარე, საქართველოს სახალხო დამცველი, მოსამართლე.

სპეციალური სუბიექტის მიერ დამნაშავის შეპყრობის სამართლებრივი ვალდებულების შეუსრულებლობამ ან დაკავების დადგენილი წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობა სამოხელეო დანაშაულისათვის. საგანგებო სუბიექტის მიერ დამნაშავის შეპყრობის მოვალეობის შეუსრულებლობამ ან არაჯეროვნად შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე დისციპლინური ან სხვაგვარი პასუხისმგებლობის გამოყენება.

ამრიგად, დამნაშავის შეპყრობა საგანგებო სუბიექტის მიერ განიხილება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად. ამ შემთხვევაში ქმედების მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს სწორედ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება და არა დამნაშავის შეპყრობის უფლების გამოყენება. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება სისხლის სამართლის მიხედვით წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ დამოუკიდებელ გარემოებას. დამნაშავის შეპყრობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პირობებში თავისი არსით უახლოვდება მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობას, თუმცა მართლზომიერების სპეციფიკური პირობები ახასიათებს, რომლებიც გამომდინარეობენ არა სისხლის სამართლის კანონიდან, არამედ ადმინისტრაციული ან სხვა კანონმდებლობიდან.

თუ სახელმწიფო მოხელე დამნაშავეს იპყრობს, მაგრამ ეს მის სამსახურებრივ კომპეტენციაში არ შედის, მისი მოქმედება უნდა განვიხილოთ, როგორც მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობა.

ამრიგად, სისხლის სამართალი არ ზღუდავს დამნაშავის შეპყრობის სუბიექტების წრეს მხოლოდ დაზარალებულით. დამნაშავე შეიძლება შეიპყროს ნებისმიერმა მოქალაქემ.

დამნაშავის შეპყრობა მართლზომიერია იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის მიზანია წარადგინოს დამნაშავე მართლმსაჯულების სათანადო ორგანოებს. თუ მოქალაქე დამნაშავეს იპყრობს თვითგასწორების მიზნით, მაშინ დამნაშავის დაკავება არამართლზომიერი მოქმედებაა. ეს საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრებაა და იგი პირდაპირ გამომდინარეობს კანონიდან.

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი მოქალაქის მიერ დამნაშავის შეპყრობას მართლზომიერად თვლის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე დამნაშავის დაკავებისას მოქმედებს იმ მიზნით, რომ წარუდგინოს იგი ხელისუფლების სათანადო ორგანოებს. ასეთივე მითითებას ვხვდებით უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსში. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ მოქალაქეთა მოქმედება მიმართული დამნაშავის დასაკავებლად იმ მიზნით, რომ აღუკვეთოს მას დანაშაულებრივი საქმიანობა, ანდა განხორციელებული უშუალოდ ხელყოფის შემდეგ დამნაშავის ხელისუფლების ორგანოებში წარსადგენად სასამართლოების მიერ უნდა განიხილებოდეს როგორც აუცილებელი მოგერიება.

ამრიგად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა და თეორია დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობად ერთსულოვნად აღიარებენ დამნაშავის სათანადო ორგანოებში წარდგენის მიზანს მასზე მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

დამნაშავის შეპყრობისას დაცვის ობიექტი არ ემთხვევა ქმედების ობიექტს, ვინაიდან დამნაშავის შეპყრობა მას შემდეგ ხდება, როცა ხელყოფის ობიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანებულია, ან დამნაშავე აღარ ესხმის თავს ამ ობიექტს და ცდილობს ხელიდან დაუძვრეს მართლმსაჯულებას. ამ შემთხვევაში დამნაშავე ხელყოფს მართლმსაჯულების ინტერესებს.

ამრიგად, დაცვის ობიექტად დამნაშავის შეპყრობის დროს გვევლინება მართლმსაჯულების ინტერესები.

ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსით, დამნაშავის შეპყრობასთან, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებასთან, მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მოქმედებას დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები ახასიათებს, ე.ი. როცა დამნაშავის შეპყრობა ისეთი ხერხით ხორცილდება, რომელიც თუ არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევდა.

რაში შეიძლება გამოიხატოს ეს ქმედება? პირველ რიგში იმაში, რომ ადამიანი თავისუფლებას აღუკვეთს დამნაშავეს.

საერთოდ თავისუფლების უკანონო აღკვეთა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კოდექსის 143-ე მუხლით. უფრო მეტიც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მიხედვით, ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. ეს ნიშნავს ადამიანის თავისუფალი და უსაფრთხო ფიზიკური გადაადგილების უფლების აღიარებას. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა და თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა პიროვნული თავისუფლების ყველაზე ბუნებრივი გამოვლენაა. პიროვნული ხელშეუხებლობა ადამიანის მუდმივი მოთხოვნილებაა. სახელმწიფოს არა მარტო ვალდებულია აქვს თავდა არ შეზღუდოს ადამიანის თავისუფლება, არამედ ევალება დაიცვას ადამიანი, რათა სხვებმა არ შელახონ ეს უფლება.

იმისათვის, რომ ქმედება 143-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია, რომ თავისუფლების აღკვეთა იყოს მართლსაწინააღმდეგო, რაზეც სიტყვა „უკანონო“ მიანიშნებს. საქმე იმაშია, რომ ადამიანის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა მართლზომიერადაც არის შესაძლებელი. რასაკვირველია, ვინმესთვის თავისუფლების აღკვეთა კანონიერია, თუ მოქალაქე დამნაშავეს იპყრობს მართლზომიერების პირობების დარღვევის გარეშე. ბუნებრივია, რომ ობიექტურად დამნაშავის შეპყრობა ყოველთვის დამნაშავის დროსა და სივრცეში თავისუფლად გადაადგილების უფლების აღკვეთაში გამოიხატება. თავისუფლების აღკვეთას შეიძლება დამნაშავის დაზიანება არ მოყვეს, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ იგი განხორციელდეს დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალებებით, ან თან ახლდეს მისთვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება.

დამნაშავის შეპყრობა, როგორც წესი, აქტიური მოქმედებითაა შესაძლებელი განხორციელდეს. მაგალითად, შებოჭვით, ოთახში ან სხვა სათავსოში დამწყვდევით და ა.შ. თუმცა თ. შავგულიძე თვლიდა, რომ არ იყო გამორიცხული დამნაშავის უმოქმედობით შეპყრობაც მომხდარიყო. ამის არგუმენტად მოჰყავდა შემდეგი მაგალითი, დამნაშავე, რომელიც დაუსხლტა მართლმსაჯულებას შემთხვევით მოხვდა უღრან ტყეში და დაემწყვდა მხეცებისათვის დადგმულ ხაფანგში. მეტყვევებ ნახა

ხაფანგში მომწყვდეული კაცი, შეიცნო მასში დამნაშავე და არ გაათავისუფლა იგი, რომ საშუალება მიეცა პოლიციის ორგანოებისათვის საშიში დამნაშავე შეეპყროთ.¹

ი. ტიშკევიჩი არ ეთანხმება ამ შეხედულებას. იგი თვლის, რომ დამნაშავეს შეპყრობა უმოქმედობით არ შეიძლება. მოტანილ მაგალითში. მისი აზრით, მაინც იგულისხმება რაღაც აქტიური მოქმედება.²

ი. ტიშკევიჩის შეხედულებას ვერ გავიზიარებთ. ზემოთ მოყვანილ მაგალითში, მართალია, მეტყევე „რაღაც აქტიურ მოქმედებას“ (დადის, სუნთქავს, ელაპარაკება დამნაშავეს), მაგრამ გასათვალისწინებელია არა „რაღაც აქტიური მოქმედება“, არამედ მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც დამნაშავეს შესაპყრობად არის მიმართული და რომელმაც სხვა შემთხვევაში შეიძლება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს. მეტყევეს დამნაშავეს შესაპყრობად არავითარი აქტიური მოქმედება არ ჩაუდენია. ხაფანგი მონადირემ მხეცს დაუგო. მეტყევე, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა ტყის მასივის შემოვლის დროს ნახა ხაფანგში გაბმული ადამიანი. მეტყევეს შეეძლო დახმარება აღმოეჩინა ხაფანგში გაბმული კაცისათვის, მაგრამ ტოვებს მას განსაცდელში.

როგორც ვიცით, დაუხმარებლობას კანონი სჯის. კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, ისჯება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელი ან აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, აგრეთვე დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა სათანადო დაწესებულებისათვის ან პირისათვის...

ამრიგად, მეტყევის მოქმედება, რომელმაც ხაფანგში გაბმულ დამნაშავეს დახმარება არ აღმოუჩინა, შეიცავს კოდექსის 129-ე მუხლის ნიშნებს, მაგრამ ეს მოქმედება დანაშაულს არ წარმოადგენს, ვინაიდან დამნაშავეს შეპყრობისაკენ იყო მიმართული მეტყევემ კონკრეტულ ვითარებაში დამნაშავე სწორედ უმოქმედობით შეიპყრო.

¹ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988. გვ, 174.

² Тишкевич И, Условия и пределы необходимой обороны, Москва, 1969 ст 179,

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამნაშავის შეპყრობისას ყოველთვის აქვს ადგილი თავისუფლების აღკვეთას. თუ დამნაშავე წინააღმდეგობას სწევს ან მიმალვას ცდილობს, მისი დაშავებაც არ არის გამორიცხული. დამნაშავე უპირისპირდება მართლწესრიგის დამცველ მოქალაქეს. ის თავისი მოქმედებით აყენებს თავის თავს ისეთ მდგომარეობაში, როცა მისი უფლებები მის შეპყრობასთან შედარებით შეზღუდულია. დამნაშავე უნდა დაემორჩილოს მოქალაქეს, მას აუცილებელი მოგერიების უფლება მისი შემპყრობის მიმართ არა აქვს. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, დამნაშავე არ არის უუფლებო და სამართალი გულგრილი ვერ იქნება მისი ბედის მიმართ. დამნაშავისათვის ზიანის მიყენების უფლება მოქალაქეს უჩნდება იმდენად, რამდენადაც ეს მის შესაპყრობად არის აუცილებელი. აქედამ გამომდინარე, კანონმდებელი არ აძლევს უფლებას თუგინდ შეპყრობის მიზნით მიაყენოს დამნაშავეს ნებისმიერი ზიანი. კანონმდებელი დასაშვები ზიანის მიყენების ფარგლებს ადგენს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ დამნაშვის შეპყრობა მართლზომიერია, თუ თავისუფლების აღკვეთა მოკლე ვადით ხდება. ი. ბაულინი თვლის, რომ დამნაშვის დაკავება ეს არის აშკარა დამნაშვისათვის თავისუფლების მოკლევადიანი აღკვეთა მისი სათანადო ორგანოებში წარდგენის მიზნით.¹ ავტორი არაფერს ამბობს, თუ როგორც უნდა იქნეს გაგებული მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა. დავუშვათ მონადირეებმა ყვარელის მთებში საშიში დამნაშავე დააკვას, რომელიც 3 დღე-ღამის განმავლობაში ჰყავდათ დატყვევებული, რადგან იმ მთებიდან მეტად ძნელია დამნაშავის ჩამოყვანა ყვარელის რაიონში და მისი გადაცემა ხელისუფლების ორგანოებისათვის. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მონადრეების მოქმედება არ შეიძლება არამართლზომიერად ჩაითვალოს იმ საბაბით, რომ დამნაშავეს ხანგრძლივი დროით აღუკვეთეს თავისუფლება.

კოდექსის 29-ე მუხლი არ აყენებს პირობას, რომ დამნაშავეს თავისუფლება მოკლე ვადით აღუკვეთონ. რასაკვირველია, რაკილა ხდება დამნაშავის დაკავება იმ მიზნით, რომ იგი ხელისუფლების ორგანოს წარუდგინონ მასზე მართლმსაჯულების განსახორციელებლად, თავისუფლების აღკვეთა, როგორც წესი, მოკლევადიანი უნდა

¹ Баулин Ю., Право граждан на задержание преступника по советскому уголовному законодательству, Москва, 1981, ст 11

იყოს, მაგრამ ზემოთ აღნიშნული მაგალითიდან ჩანს სხვაგვარი შემთხვევებიც არ არის გამორიცხული.

უკრაინისა და უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსები დამნაშავეს შეპყრობის ფარგლების დაცვის თვალსაზრისით, მართლზომიერების ორ პირობას ითვალისწინებენ:

1. მიღებული ზომები აუცილებელი უნდა იყოს დაკავებისათვის.
2. იგი უნდა შეესაბამებოდეს ხელყოფის სიმძიმეს და შეპყრობის გარემოებებს.

ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსი არ ადგენს დამნაშავეს შეპყრობის დროს დასაშვებ ზიანის მიყენების ფარგლებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის ფარგლებს:

- შეპყრობის მიერ გამოყენებული ზომა შესაბამისობაში უნდა იყოს შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან
- გამოყენებული ზომა შესაბამისი უნდა იყოს შეპყრობის გარემოებებთან.

კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებას ახასიათებს ორი ძირითადი პირობა სახელდობრ:

1. შეპყრობის მიერ გამოყენებული ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან
2. შემპყრობის მიერ გამოყენებული ზომის შეუსაბამობას შეპყრობის გარემოებებთან.

იბადება კითხვა, როდის დგება დამნაშავეს შეპყრობის ფარგლების გადამეტების საკითხი, როდესაც ადგილი აქვს დამნაშავესათვის ზიანის მიყენებას, თუ როდესაც დამნაშავეს იპყრობენ მისთვის ზიანის მიყენების გარეშე? ჩვენი აზრით, დამნაშავეს შეპყრობის ფარგლების საკითხი უნდა დაისვას მხოლოდ მაშინ, როდესაც შეპყრობის მიზნით ზიანს აყენებს დამნაშავეს.

ზოგჯერ ისეთი ვითარება იქმნება, რომ კაცს ჰგონია, ვითომ დამნაშავე შეიპყრო, სინამდვილეში კი უდანაშაულო კაცი დააკავა. საკითხავია, შეიძლება თუ არა

მოჩვენებითი დამნაშავის შეპყრობა, ან შეპყრობის დროს მისთვის ზიანის მიყენება განვიხილოთ, როგორც დამნაშავის შეპყრობის ფარგლების გადაცილება?

იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ „მოჩვენებითი დამნაშავის“ შეპყრობის სამ შესაძლებელ შემთხვევაზე, როდესაც

1. შემპყრობი შეცდომას უშვებს მოქმედების შეფასებაში
2. შეცდომას უშვებს დამნაშავის პიროვნებაში
3. შეცდომას უშვებს დამნაშავის პიროვნულ თავისებურებაში.¹

რა თქმა უნდა, ყველა ამ შემთხვევაში დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობები დარღვეულია, მაგრამ ვერ დავათანხმებთ ვ. ტკანჩენკოს, თითქოს „მოჩვენებითი დამნაშავის“ შეპყრობასთან გვეკონდეს საქმე, როდესაც კაცი შეცდომას უშვებს დამნაშავის პიროვნული თვისებების შეფასებაში.

ამრიგად, „მოჩვენებითი დამნაშავის“ შეპყრობასთან გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც კაცი დარწმუნებულია, რომ დააკავა დამნაშავე, თუმცა სინამდევით შეიპყრო უდანაშაულო. ასეთ ვითარებაში დამნაშავის დაკავების დასაშვები ფარგლების დარღვევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რადგან რეალურად ამ კონკრეტული პირის მიმართ შეპყრობის უფლება არ აღმოცენებულა.

კაცის მოქმედება „მოჩვენებითი დამნაშავის“ შეპყრობის დროს უნდა განვიხილოთ შეცდომის მიხედვით. თუ კაცმა შექმნილ ვითარებაში არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ იპყრობდა უდანაშაულო პირს, მაშინ სახეზე გვექნება შეცდომა, რომელიც გამორიცხავს პირის ბრალეულობას. თუკი დადგინდება, რომ შეცდომა მისატყვებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ პირის მიერ განხორციელებული ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით. თუ ასეთი ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა არ ისჯება კანონით, მაშინ კაცი თავისუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც კაცს დამნაშავე შემოაკვდა შეპყრობის დროს. შეიძლება თუ არა ეს შემთხვევა განვიხილოთ დამნაშავის შეპყრობის უფლების განხორციელებად, ან მისი ფარგლების გადამეტებად? სისხლის

¹ Ткаченко В, Задержание мнимого преступника, Москва, 1974, ст 20

სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე არსებითად სხვადასხვაგვარი მოსაზრებები იყო გამოთქმული.

ჩვენი აზრით, დამნაშავისათვის სიცოცხლის მოსპობა შეპყრობის დროს დაუშვებელია. ამგვარ მოქმედებას ვერ განვიხილავთ დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერ აქტად, ვინაიდან იგი არ ემსახურება დამნაშავის შეპყრობის მიზანს - ხელისუფლების ორგანოში წარდგენას. ამ აზრს ატარებს თ. შავგულიძე, როდესაც ამბობს, რომ ადამიანის მკვლელობა არ ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს.¹

საპირისპირო შეხედულებისაა ი.ტიშკიჩევი. მას დასაშვებად მიაჩნია დამნაშავის შეპყრობის დროს მისი მოკვლა, ვინაიდან შეპყრობის მიზანი მხოლოდ დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა როდი არის. მისი აზრით, დამნაშავის დაკავება ემსახურება იმსაც, რომ აღუკვეთონ მას შემდგომი ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩადენის შესაძლებლობა.²

სრულიადაც ვეთანხმებით თ. შავგულიძეს, როდესაც წერდა, რომ „... დამნაშავის მოკვლა მისი შეპყრობის დროს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მდევრისაგან თავის დახსნის მიზნით დამნაშავე თავს ესხმის მოქალაქეს და ამით აშკარა საშიშროებას უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ანდა, მართალია, დამნაშავე თავს არ ესხმის მდევარს, მაგრამ მისი თავისუფლად ყოფნა უშუალო და რეალურ საფრთხეს უქმნის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავის მოკვლის მართლზომიერების საფუძვლად გვევლინება არა დამნაშავის შეპყრობის უფლება, არამედ აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელება“.³

ამ დებულების ნათელსაყოფად შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ერთ-ერთ სოფელში პოლიციელებმა თოფის სროლის ხმა გაიგეს. შემთხვევის ადგილზე რომ მივიდნენ დაინახეს მთვრალი მან-ს ორი მეზობელი მოუკლავს სანადირო თოფით. მკვლელობის მიზეზი ის ყოფილა, რომ მოკლულები მოწმედ გამოსულან მკვლელის მამის სასამართლო პროცესში. პოლიციელები დაედევნენ მკვლელს, მან სროლა ატეხა,

¹ შავგულიძე თ., Необходимая оборона, Тбилиси, 1966, ст 133

² Советское уголовное право, 4 общая, Москва, 1982, ст 191,

³ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988. გვ. 179.

ერთ-ერთი პოლიციელი მძიმედ დაჭრა. პოლიციელები კვლავ მისდევდნენ მან-ს. ურთიერთშეტაკების დროს პოლიციელებმა სასიკვდილოთ დაჭრეს მან-ი.

ი. თიშკევიჩის ეს შემთხვევა დამნაშავის შეპყრობისას მისი მკვლელობის მართლზომიერების მაგალითად მოაქვს. სინმადვილეში დამნაშავის მკვლელობის მართლზომიერების საფუძველი ამ შემთხვევაში აუცილებელი მოგერიებაა, ვინაიდან დამნაშავე თავს დაესხა მდეგრებს.

თუ გავიზიარებთ დებულებას, რომ დამნაშავის დაკავების დროს მისი მოკვლა მართლზომიერი აქტია, მაშინ მოჩვენებითი დამნაშავის მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, ანდა საერთოდ არ უნდა დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი

სწორედ ასე წყვეტს ამ საკითხს ვ. ტაჩენკო. მოვითანოთ ორი მაგალითი:

გვიან ღამით მან-მა და ინ-მა გადაწყვიტეს ნაცნობი კან-ი მოენახულებინათ, მივიდნენ კან-ის სახლთან და კარზე დააკაკუნეს. კან-ი ვერ გაერკვა ვითარებაში, იფიქრა, რომ მას ყაჩაღები მიუხტნენ და თავის ძმას ვინ-ს მოუხმო საშველად. ძმის ყვირილზე ვინ-ი, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა, გარეთ გამოვარდა და სანადირო თოფი ჰაერში ისროლა. მან-ი და ინ-ი გაიქცნენ. ვინ-მა გადაწყვიტა დაეკავებინა ისინი, გამოედევნა მათ, ესროლა მან-ს და მიკლა იგი.

ერთ-ერთი მაღაზია გაქურდეს. ვინ-ს დაავალეს თვალყური ედევნებინა პარ-ის სახლისათვის, სადაც ნაქურდალი ნივთები ეგულებოდათ გადანახული. ღამე ვინ-მა შენიშნა, რომ პარ-ის სახლიდან ორი მოქალაქე გამოვიდა. ვინ-ი დააეჭვა უცნობების ვინაობამ და გამოკითხვა დაუწყო მათ. უცნობებმა უკმეხად უპასუხეს და გაიქცნენ. ვინ-მა ისროლა და ერთ-ერთი მოკლა. როგორც გამოირკვა, უცნობები უდანაშაულონი ყოფილან.

ჩვენი აზრით, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს განზრახ მკვლელობასთან. მართალია, კაცი შეცდა დაზარალებულის ვინაობაში, მაგრამ ნამდვილ დამნაშავეებთან რომც ჰქონოდა საქმე მას არ ჰქონდა უფლება მოეკლა იგი, რადგან არც ერთ შემთხვევაში მკვლელობა დამნაშავის შეპყრობას და მისი მართლმსაჯულების ორგანოებში წარდგენის მიზანს არ ემსახურებოდა.¹

¹ Ткаченко В, Задержание мнимого преступника, Москва, 1974, ст 20

თუ დადგინდება, რომ ზემოთ აღწერილ შემთხვევაში კაცს დამნაშავეს შეპყრობის საბაზი მისთვის ჯანმრთელობის დაზინების მიყენება სურდა, მაგრამ ვერ მოზომა და სასიკვდილოდ დაჭრა ის, მაშინ მოქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.

დამნაშავეს პიროვნებაში შეცდომისას კაცი კლავს არა დამნაშავეს, არამედ სხვა ადამიანს. აქ ვნებას განიცდის ნაგულისხმევი ობიექტი და ამდენად, შეცდომა არავითარ ზეგავლენას არ ახდენს არც ქმედების კვალიფიკაციასა და არც სისხლისსამართლებრივპასუხისმგებლობაზე.

განსხვავებულად წყდება საკითხი ე.წ. „ მოქმედებათა გადახრის“ დროს, როდესაც დამნაშავეს ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვნებას განიცდის არა დამნაშავე, არმედ სხვა პირი. მაგალითად, ან-ი დამნაშავეს შეპყრობის მიზნით მძიმე საგანს ესვრის ბან-ს, მაგრამ აცდენს მას და თავში მოხვდება გან-ს და კლავს. ან-ის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობად.

ამრიგად, დამნაშავეს შეპყრობის დასაშვები ფარგლების გადამეტების საკითხი მაშინ დაისმება, როდესაც არსებობს ყველა პირობა, რომელიც წარმოშობს დამნაშავეს შეპყრობის უფლებას და ამავე დროს დამნაშავეს აყენებს ისეთ ზიანს, რომელიც სცილდება დამნაშავეს შეპყრობისათვის დადგენილ ფარგლებს.

თავი 5. პასუხისმგებლობა დამნაშავის შეპყრობის ფარგლების გადამეტებისათვის

დამნაშავის შეპყრობა მართლზომიერია მაშინ, თუ დარღვეული არ არის დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების ფარგლები. დამნაშავის შეპყრობა დადგენილი ფარგლების გადამეტებით მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაა, თუმცა მცირდება მართლსაწინააღმდეგობის ხარისხი, და შესაბამისად მცირდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

დამნაშავის შეპყრობა საამისოდ დადგენილი ფარგლების გადამეტებით მართლსაწინააღმდეგოა, ვინაიდან კაცი დამნაშავეს იმაზე მეტ ვნებას აყენებს, რაც აუცილებელია მის შესაპყრობად ან მიყენებული ვნება აშკარად არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ის ვითარება, რომ შემპყრობს ამოდრავებდა დამნაშავის შეპყრობის და მართლმსაჯულების ორგანოებში მისი წარდგენის მიზანი და, რომ დამნაშავის შეპყრობის ფარგლების გადამეტების შემთხვევაშიც კი მოქალაქე ობიექტურად ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, მის მოქმედებაში მართლსაწინააღმდეგობის ხარისხს ამცირებს.

დამნაშავის შეპყრობის ფარგლების გადამეტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავის დაკავების და სათანადო ორგანოებში წარდგენის მიზნით კაცი მას ისეთ ვნებას აყენებს, რომელიც აუცილებელი არ არის მისი დაკავებისათვის, ან ვნების მიყენება თუმცა აუცილებელი იყო დამნაშავის შესაპყრობად, მაგრამ აშკარად არ შეესაბამებოდა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და შეპყრობის გარემოებებს.

ამრიგად, დამნაშავის შეპყრობის ფარგლების გადამეტება ამ ინსტიტუტის მართლზომიერების ერთ-ერთი პირობის დარღვევას წარმოადგენს. დამნაშავის შეპყრობის დასაშვები ფარგლების გარეთ გადამეტება შესაძლებელია, თუ დაცულია ამ ინსტიტუტის მართლზომიერების ყველა სხვა პირობა. მაგალითად, თუ კაცი იპყრობს კაცს, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია, ანდა აკავებს დამნაშავეს თვითგასწორების მიზნით, მაშინ ფარგლების გადამეტებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

აუცილებელი იყო თუ არა ამა თუ იმ ვნების მიყენება დამნაშავისთვის ეს ფაქტის საკითხია და ყოველი ცალკეულ შემთხვევაში იგი დამოუკიდებელი მსჯელობის საგანს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამნაშავის დაკავების

ვითარებას, დროს, დამნაშავისა და დამკავებლის ძალთა თანაფარდობას, იმას თუ სად ხდება დამნაშავის შეპყრობა, მნიშვნელობა აქვს დამნაშავის პიროვნებასაც- არასრულწლოვანია თუ სრულწლოვანი და სხვა მისთანს.

ჯიბის ქურდს კან-ს ადამიანები დაედევნენ. ქურდი შევარდა ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში და კიბეებზე ირბინა. ამ დროს ბან-მა ესროლა და მძიმედ დაჭრა. ასეთ ვითარებაში ქურდის დაკავების მიზნით მისთვის ზიანის მიყენება არამართლზომიერია. ქურდს გაქცევა არ შეეძლო, ამიტომ დაჭრა არ იყო აუცილებელი მის შესაპყრობად. ბან-ი სასამართლომ დამნაშავედ სცნო.

არის შემთხვევები როცა მძიმე ვნების მიყენება კონკრეტულ ვითარებაში აუცილებელია დამნაშავის შესაპყრობად, მაგრამ მიყენებული ვნება აშკარად არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ფარგლების გადამეტებას მიყენებული ზიანის არათანაზომიერების გამო. როდის არის არათანაზომიერი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან ეს უკვე დამოკიდებულია მიყენებული ზიანის და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის თანაფარდობაზე.

ჩვენი აზრით, დამნაშავის მსუბუქად დაზიანება არ შეიძლება მივიჩნიოთ დამნაშავის შეპყრობისათვის არათანაზომიერ ღონისძიებად, რადგან იგი არ შეიძლება ჩავთვალოთ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან აშკარად შეუსაბამოდ, თუ კი დამნაშავის დაკავების უფლება აღმოცენდა და არ არის დარღვეული ამ ინსტიტუტის მართლზომიერების სხვა პირობები.

დამნაშავის დაკავების ფარგლების გადამეტებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც კაცი კლავს დამნაშავეს მისი შეპყრობის დროს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ დამნაშავის შეპყრობის ფარგლების გადამეტება შეიძლება მხოლოდ განზრახ ქმედებით. ი. ტიშვევიჩი თვლის, რომ მართლსაწინააღმდეგოა დამნაშავის დაკავებისას ფარგლების მხოლოდ განზრახ გადამეტება. ფარგლების გადამეტება გაუფრთხილებლობით მოკლებულია ამ ნიშანს და არ წარმოადგენს დანაშაულს. თუ დამნაშავის შეპყრობისას კაცმა შეცდომა დაუშვა თავისი მოქმედების შეფასებაში და გაუფრთხილებლობით დამნაშავეს იმაზე მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე მისი შეპყრობისათვის იყო საჭირო (მაგალითად, მდევარმა ფეხებში ესროლა დამნაშავეს, მაგრამ მუცელში მოარტყა ტყვია

და მოკლა), პასუხისმგებლობა ზიანის გაუფრთხილებლობით მიყენებისათვის ვერ დაადგება მაშინაც კი, როდესაც დამნაშავეს მოკვლა შექმნილ ვითარებაში საჭირო არ იყო.¹

ჩვენი აზრით, ეს დებულება არასწორია. საერთოდ თუ შემპყრობი დააზიანებს დამნაშავეს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს განზრახ და გაუფრთხილებელი ქმედების ბუნების გათვალისწინებით.

შემპყობი თუ სწორად ვერ აფასებს შექმნილ ვითარებას თუმცა მას შეეძლო და სწორად უნდა შეეფასებინა ეს ვითარება და აზიანებს დამნაშავეს, რაც საჭირო არ იყო მისი შეპყრობისათვის მაშინ მან პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობით დამნაშავეს შეპყრობის ფარგლების გადამეტებისათვის.

მეორე შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს განზრახ ქმედებას. შემპყრობმა ვთქვათ იცის, რომ ჯამრთველობის მძიმე დაზიანება თავისი სიმძიმით ჩადენილ დანაშაულს არ შეესაბამება, მაგრამ დამნაშავეს შეპყრობის დროს მძიმედ აშავებს. (არ არის გამორიცხული, რომ ჩადენილი დანაშაული თავისი სიმძიმით თანაფარდი არ იყოს დამნაშავეს შეპყრობის დროს გამოწვეული შედეგისა, მაგრამ შემპყრობმა არ აგოს პასუხი.)

მაგალითად, ვთქვათ ან-მა ჯიბიდან ამოაცალა ბან-ს ფული. ეს შენიშნა გან-მა და გამოუდგა ან-ს, რომ ვარ დაეწია კვანტი გამოსდო მას. ან-ი დაეცა, თავი დაარტყა ტროტუარს და გარდაიცვალა. ასეთ შემთხვევაში გან-ი პასუხს არ აგებს.

დაბოლოს, ცხადია უნდა დავეთანხმოთ ო .გამყრელიძეს, რომელიც წერს, რომ „დამნაშავეს შეპყრობას აქვს, აგრეთვე, ერთი მეტად მნიშვნელოვანი, დამნაშავესთვისაც სასარგებლო დადებითი მხარე - როდესაც დაზარალებული და მისი მომხრეები ეცდებიან მის ჩაქოლვას, ამ დროს დამნაშავეს პოლიციაში მიყვანა მისი გადარჩენაც არის და მასზე კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების გარანტიაც“.

თავი 6. მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე მოქმედი კანონმდებლობით ცალკე მუხლად არ იყო გამოყოფილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ასეთი სახის მკვლელობებისათვის, რომელიც დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით იქნებოდა ჩადენილი. ამგვარი ქმედება იმ პერიოდში განიხილებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში გადაცილებისას ჩადენილი მკვლელობის ერთ-ერთ სახედ. 1999 წლის 22 ივლისს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსით მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით ცალკე, 114-ე მუხლითაა გათვალისწინებული.

ჩადენილი ქმედების 114-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის თავდაპირველად უნდა დავადგინოთ, თუ როდის ითვლება, დამნაშავეს შეპყრობისას მიყენებული ზიანი მართლზომიერად. ამ საკითხის გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, უნდა ნათელვყოთ კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები. ეს მუხლი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად ითვალისწინებს დამნაშავეს შეპყრობას. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის მიხედვით მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს აუცილებელი ზომის გადაუცილებლად.“

ამ ნორმით გათვალისწინებული შეპყრობის მიზანია: მართლმსაჯულების განხორციელება იმ პირის მიმართ, რომელმაც კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა, პირის შემდგომი დანაშაულებრივი მოქმედების აღკვეთა, სასჯელის აღსრულება იმ პირის მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან და თავს არიდებენ სასჯელის მოხდას. ამიტომ ტერმინი „დამნაშავეს შეპყრობა“ უნდა გავიგოთ ფართო მნიშვნელობით, რომელშიც იგულისხმება ის პირები, რომლებიც ექვმიტანილნი ან ბრალდებულნი არიან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში და მსჯავრდებულები, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ თავს არიდებენ სასჯელის მოხდას.

რა საკვირველია, იმ პირის შეპყრობა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, დანაშაულთან ბრძოლის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტია. იმავდროულად სათვალავიდან არ უნდა გამოგვეპაროს ის გარემოება, რომ დამნაშავის შეპყრობა ისეთი უკიდურესი ზომია, რომელიც უპირატესად ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას გამორიცხავს. ამის მისაღწევად მიზნად ისახევენ მის წარდგენას ხელისუფლების ორგანოში.

დამნაშავის შეპყრობის უფლება აქვს ნებისმიერ მოქალაქეს. მაგრამ თუ შეპყრობას თან მოჰყვა დამნაშავის დაზიანება, მაშინ ასეთი შეპყრობა იმ შემთხვევაშია ნებადართული, როცა შეპყრობა სხვა საშუალებით შეუძლებელი იყო. საამისო მოქმედება განხორცილდება ადამიანის სამსახურეობრივ მოვალეობად ითვლება. ასეთი მოვალეობა აკისრია პოლიციის მუშაკებს.

დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობებს ორ ჯგუფად ყოფენ:

1. პირობებად, დანაშაულის ჩადენის ფაქტს განეკუთვნებიან და
2. პირობებად, რომლებიც უნდა ახასიათებდნენ თავად შეპყრობის ფაქტს.

შეპყრობის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც დამთავრებული დანაშაული, ისე დაუმთავრებელი (მომზადება და მცდელობა) „ ამასთან აუცილებელია, რომ შესაპყრობ პირს უკვე ჩადენილი უნდა ჰქონდეს დანაშაულის ცალკეული სტადიის შემადგენელი ქმედება და ამის შემდეგ შეეცადოს მიიმალოს, თავი აარიდოს პასუხისმგებლობას. თუ დანაშაულებრივი ქმედება არ შეწყვეტილა, მაშინ საქმე გვექნება აუცილებელ მოგერიებასთან“¹ თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას - ეს ვერ გახდება შეპყრობის საფუძველი.

როგორც აღინიშნა, შეიძლება შეპყრობილი იქნეს მსჯავდებული, რომელმაც თავი აარიდა სასჯელის მოხდას.

პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ასეთი პოზიცია. საერთო წესისამებრ, მცირე მნიშვნელობის დანაშაულის ჩამდენის მიმართ დაუშვებელია ძალადობა, რადგან ასეთ

1. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი. 2008, გვ. 231.

შემთხვევაში შეპყრობილის დაზიანება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დანაშაულით გამოწვეული ზიანი.

დამნაშავის შეპყრობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს უტყუარი მონაცემები, რომ სწორედ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული. პრაქტიკაში ზოგჯერ ხდება ისე რომ შეიპყრობენ და აზიანებენ იმას, ვისაც შეცდომით დამნაშავედ მიიჩნევენ. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი ზიანისათვის წყდება ფაქტობრივი შეცდომის ზოგადი წესის მიხედვით. თუ შემპყრობმა არ იცოდა, არ უნდა სცოდნოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ შესაპყრობი არ არის დამნაშავე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ბრალის არ არსებობის გამო. აქ საქმე გვაქვს შემთხვევასთან (კაზუსთან). პირიქით, თუ მას საქმის გარემოებების მიხედვით უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ შესაპყრობი არ არის დამნაშავე, მაშინ შესაპყრობის დაზიანება წარმოშობს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შესაბამისი გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის.

ამრიგად, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად არ ითვლება და ამიტომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს ქმედება, რაც გამოიხატა ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად დამნაშავის შეპყრობაში, საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად. ასეთი ზომის გადაცილებისათვის კი შემპყრობს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. კოდექსის 29 - მუხლის მე-2-ე ნაწილის მიხედვით „დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შესაბამისობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან“. სწორედ ამგვარ ვითარებას ითვალისწინებს კოდექსის 114-მუხლი.

პასუხისმგებლობა 114-ე მუხლით მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც დამნაშავის მკვლელობა აუცილებელი არ იყო მისი შეპყრობისას, ე.ი. როდესაც ჩადენილი მკვლელობა არ შეესაბამებოდა შესაპყრობი დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხასიათსა და ხარისხის, ამ დროს შექმნილ ვითარებისას საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ დამნაშავის შეპყრობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, რომელსაც შემპყრობს აქვს საამისო უფლება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ

შესაპყრობმა ჩაიდინა დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედება, შეიქმნა გაგცევის რეალური საფრთხე, არსებობს მისი შეპყობის აუცილებელი მიზანი და ა.შ.

კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად. ეს მოთხოვნა ნიშნავს იმას, რომ, მართალია დამნაშავე ვერ შეიპყრეს, მაგრამ მოქმედებდნენ სწორად მის შესაპყრობად ხელისუფლების ორგანოში წარდგენის მიზნით.

შესაპყრობად აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს იმას, რომ შემპყრობმა ისეთ საშუალებებსა და მეთოდებს მიმართა, რომლებიც აშკარად არ შეესაბამებოდა შესაპყრობის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მისი პიროვნების საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, შეპყრობის ვითარებას და საამისო აუცილებლობის გარეშე მას სიცოცხლეს უსპობენ, რაც შექმნილ ვითარებაში აშკარად მეტისმეტად და არა აუცილებელ ზომად უნდა შეფასდეს.

შეპყრობის სუბიექტური აზრი გამოიყენოს დამნაშავეს მიმართ უკიდურესი ზომები ხშირად ზემო აღნიშნული დებულებების შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამასთან ეს ზოგადი დებულებებია, რომლებიც უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული, მაგრამ ისინი მხოლოდ შეიცავენ საწყის პოზიციას იმ საკითხის გადასაწყვეტად - მოხვდა თუ არა შეპყრობის აუცილებელი ზომის გადაცილება.

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად საჭიროა განვასხვავოთ ორი ჯგუფი:

1) როდესაც დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. არ შეიძლება მკვლელობასთან დაკავშირებული ზომის გამოყენება;

2) როდესაც დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით დამნაშავეს შესაპყრობად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ხერხი, რასაკვირველია, თუ ეს ხერხი საფრთხეს არ უქმნის მესამე პირის უსაფრთხოებას.

ნათელია, პირველ შემთხვევაში არ დგება შესაპყრობად აუცილებელი ზომის გადაცილების საკითხი. თუ ამ შემთხვევაში დამნაშავე თავს ესხმის შემპყრობს, ხოლო ეს უკანასკნელი კლავს შესაპყრობს, მაშინ საკითხი გადაწყდება აუცილებელი მოგერიების წესის მიხედვით. სწორედ მეორე შემთხვევაში შეიძლება დადგეს 114-ე

მუხლის გამოყენების საკითხი. აქ შეპყრობისას შეიძლება არსებობდეს სამნაირი ვითარება:

- 1) დამნაშავე იმალება;
- 2) დამნაშავე წინააღმდეგობას უწევს შემპყრობს;
- 3) დამნაშავე არ ცდილობს დამალვას და არ უწევს წინააღმდეგობას.

„პირველ ვითარებაში დამნაშავეს შეპყრობისას მისი მკვლელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება,- წერს გ. ტყემელიაძე, - თუ მან ჩაიდინა მკვლელობა, ბანდიტიზმი, ტერორიზმი, ყაჩაღობა, გაუპატიურება, გაიტაცა ადამიანი და სხვა მძიმე დანაშაული, უპირატესად ძალადობითი ხასიათისა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება დავასკვნათ, რომ დამნაშავესათვის შესაპყრობად გამოყენებული ზომა შეესაბამება შესაპყრობი დამნაშავეს მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროებას. ნათელია, ამასთან, აუცილებელია დაცული იქნეს შესაპყრობლად გამოყენებული ზომის მართლზომიერების სხვა პირობებიც“¹

ამ დებულების გასაქარწყლებლად მეტად საგულისხმო დებულებას შეიცავს სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი(დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) თბილისი, 2002, გვ. 88.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატის 2001 წლის 10 მაისს განჩინება. ტყემულის შ.ს განყოფილების უბნის ინსპექტორის ბან-ის საქმეზე განჩინებაში აღნიშნულია: „საბრალდებო დასკვნის მოსაზრება ბან-ის მიერ ჩადენილი დანაშაული, როგორც განზრახ მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, არასწორია. ჩადენილი ქმედების ასეთი კვალიფიკაცია ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნას, ვინაიდან პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის სიცოცხლის მოსპობა როდესაც მას აქვს ჩადენილი მატერიალური სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მცდელობა, როდესაც ამ პირისგან სხვა პიროვნებას არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, საყოველთაოდ აღიარებული

¹ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი(დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), თბილისი. 2002, გვ. 86.

სიცოცხლის უფლების ხელყოფა და აშკარად ეწინააღმდეგება სამართლებრივი სიკეთის დაცვის სისხლისსამართლებრივ კონცეფციას¹

უფრო მეტიც, პოლიციის თანამშრომელს აქვს დამნაშავეს შეპყრობის არა სამართლებრივი უფლება, არამედ ვალდებულება და მოქმედება მოცემულ შემთხვევაში მოწესრიგებული უნდა ყოფილიყო არა კოდექსის 29-ე მუხლით, არამედ კანონით პოლიციის შესახებ, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საფუძვლებს.

თუ დამნაშავე მოკლეს შეპყრობისას შემპყრობისათვის წინააღმდეგობის გაწვევისას, პასუხისმგებლობა შემპყრობს შეიძლება დაეკისროს კოდექსის 113-ე ან 114-ე მუხლით.

თუ დამნაშავე არ იმალება და არც წინააღმდეგობას უწევს შემპყრობს, მაშინ მისი მკვლელობისათვის ასეთი დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგადი წესით.

ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი ან არა პირდაპირი განზრახვით. შემპყრობს შეგნებული აქვს, რომ დამნაშავეს შეპყრობისას თავად ჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ითვალისწინებს შესაპყრობი დამნაშავეს მკვლელობის შესაძლებლობას ან გარდუვალობას, თანაც სურს ან შეგნებულად უშვებს მკვლელობას ან გულგრილად ეკიდება ამ შედეგს. ხსენებული შედეგის გაუფრთხილებლობით დადგომა არ გამოიწვევს 114-ე მუხლით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

პოლიციის თანამშრომლის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური იძულებით, სპეციალური საშუალებებისა და სამსახურეობრივ - სამტატო იარაღის გამოყენების საკითხები გათვალისწინებულია პოლიციის შესახებ საქართველოს კანონით. ამ კანონის მე-13 მუხლით ჩამოთვლილია ის შემთხვევები, როდესაც პოლიციის თანამშრომლის უფლება აქვს გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი. პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი უკიდურესი ღონისძიების სახით: ა) მოქალაქისა და თავის დასაცავად ისეთი

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, № 25, გვ. 218.

საფრთხისგან, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

გ) მძევლების გასათავისუფლებლად;

დ) დაკავების ან პატიმრობის ადგილიდან გაქცევის აღსაკვეთად;

ე) მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს პოლიციის თანამშრომელს ან შეეცდება გაქცევას;

ვ) მოქალაქეთა ბინაზე, დაცულ ობიექტებზე, სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოებრივი ოგანიზაციების, კერძო საკუთრების ობიექტებზე, თავდასხმის მოგერიებისას;

ზ) მოქალაქეთა დაცვისას საშიშ ცხიველთა თავდასხმისაგან;

თ) განგაშის სიგნალის მიცემის ან დამხმარე ძალის გამოძახებისას;

ი) სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით სტრანსპორტო საშუალების დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანთ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ხოლო მძღოლი არ ემორჩილება პოლიციის თანამშრომლის არაერთგზის მოთხოვნას გააჩეროს სატრანსპორტო საშუალება.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება, რომ გამოიყენებენ იარაღს. ხსენებული კანონით ნებადართულია გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, მაგალითად დაპატიმრებულის ან პატიმრის გაქცევისას, დამნაშავის დაკავებისას ან დაპატიმრების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას. ამ კანონით აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ორსულების, მცირეწლოვანების, ინვალიდების, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონეთა მიმართ იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი არიან ან ჯგუფურად ესხმიან თავს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქის ან პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლეს.

თავი 7. ჯამრთველობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავეის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით

კოდექსის 123-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ჯამრთველობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის დამნაშავეის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით. კოდექსი პასუხისმგებლობას არ აწესებს ჯამრთველობის მსუბუქი დაზიანებისათვის დამნაშავეის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით. ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ასეთი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა არ ხდება. ასეთ ქმედებისათვის პასუხისმგებლობა დგება ზოგადი ნორმით, ე.ი ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მუხლით - (მუხლი120).

კანონი მოითხოვს რომ ქმედების 123-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის შედეგად დადგეს ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად ითვლება სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ან და რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯამრთველობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

ჯამრთველობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის და არ გამოუწვევია ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯამრთველობის ხანგძლივ მოშლასთან ან საერთო შრომისუნარიანობის მყარ, ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვასთან.

მოცემული დანაშაული უნდა განვიხილოთ შემდეგი ელემენტების დახასიათებით: 123-ე მუხლში აღწერილი ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარე, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

მოცემული ქმედების ობიექტს წარმოადგენს დამნაშავეის ჯამრთველობის უფლება.

დამნაშავის შეპყრობისას ჯამრთველობის დაზიანება შეიძლება მხოლოდ აქტიური მოქმედებით.

მოცემული ქმედება მატერიალური ანუ შედეგიანია. იგი დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან თუ აუცილებელი ზომის გადაცილებას შედეგად მოჰყვა ჯამრთველობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. „ თუ შედეგად დადგა ჯამრთველობის მსუბუქი დაზიანება, - წერს ნ. თოდუა, -შემპყრობელი პასუხს არ აგებს, თუნდაც გადააცილოს დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის ფარგლებს“¹

ცხადია ცდება ნ.თოდუა. თუ შემპყრობი დამნაშავეს დაკავებისას აუცილებელ ზომას გადააცილებს და დამნაშავეს მიაყენებს ჯამრთველობის მსუბუქ დაზიანებას. მისი ქმედება დაკვალიფიცირდება კოდექსის 120-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯამრთველობის მსუბუქი დაზიანებით. ეს მოხდება მხოლოდ მაშინ თუ დადგინდება შემპყრობის ქმედებაში განზრახვის ელემენტები. გაუფრთხილებლობის შემთხვევაში შემპყრობი, და საერთოდ ნებისმიერი პირი ჯამრთველობის მსუბუქი დაზიანებისთვის პასუხს არ აგებს. განზრახვა ყოველთვის არაპირდაპირი სახით გვევლინება. ამიტომ ამ დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეუძლებელია. ასავე არ შეიძლება ამ დანაშაულის თანამსრულებლობა და თანამონაწილეობა.

მოცემული ქმედების სუბიექტია დამნაშავის შემპყრობი პირი. როგორც ყველა დანაშაული, ისე ჩვენს მიერ განსახილველიც უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულად ჩადენილი.

მართლწინააღმდეგობის ნიშნის საკითხის გადასაწყვეტად მისი დადგენა უნდა მოხდეს ნეგატიური ფორმით. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგოა ყველა შემთხვევაში, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. აქ ნეგატიური ნიშანია“ არ არსებობს“.

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის ნიშნის დადგენას გაუფრთხილებლობისას, აქ გამოძიება უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ დადგენილ

¹ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2005, გვ.99.

ქცევის წესს და პოზიტიურად უნდა დაასაბუთოს, რომ შემპყრობს დარღვეული აქვს ამ „წესების“ რომელიმე მუხლი. აქ მართლწინააღმდეგობის ნიშნის დადგენა პოზიტიური გზით ხდება.

დანაშაულის მესამე ნიშანია ბრალი. ბრალი არის პირის გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. გაკიცხვა ამ შემთხვევაში ხდება პერსონალურ დონეზე.

კოდექსის 123-ე მუხლით მართლწინააღმდეგობის ხარისხი არ იცვლება, მაგრამ მცირდება ბრალის ხარისხი. ამიტომ იგი ამსუბუქებს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას.

დასკვნა

ჩვენს მიერ განხილული თემიდან „დამნაშავის შეპყრობა და მისი მართლზომიერების პირობები“ დასკვნის სახით შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი:

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდება სახელმწიფოს თუ ამ საქმეში მას ადამიანები არ დაეხმარებიან. სწორედ ამ მიზანს ემსახურება „დამნაშავის შეპყრობის“ ინსტიტუტი.

დამნაშავის შეპყრობის დაუსჯელობის საფუძვლად დანაშაულის ფორმალური ნიშნის- მართლწინააღმდეგობის არ არსებობა გვევლინება. მართლწინააღმდეგობის არ არსებობის საფუძველი კი თვით ამ ქმედების მართლზომიერ ხასიათში ძვეს.

ტერმინი დამნაშავე უნდა გავიგოთ ფართო გაგებით და იგი მოიცავს: ა) ექვმიტანილს, ბ) ბრალდებულს, გ) მსჯავრდებულს, რომელიც თავს არიდებს სასჯელის მოხდას, დ) შეერაცხვისუუნარო პირი.

დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობებს მიუთითებს კანონმდებლობა, აზუსტებს სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა. იგი იყოფა ორ ნაწილად : 1) დამნაშავის შეპყრობის წარმოშობისა და 2) დამნაშავის შეპყრობის დროს ზიანის მიყენების მართლზომიერების პირობებად.

დამნაშავის შეპყრობის უფლება წარმოიშობა მაშინ, როდესაც პირი ჩაიდენს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილ ქმედებას და ცდილობს მიიმალოს ან სასამართლომ გამოუტანა გამამტყუნებელი გნაჩენი და თავს არიდებს სასჯელის მოხდას.

დამნაშავის შეპყრობისას დაცვის ობიექტია მართლმსაჯულების აღსრულება.

დამნაშავის შეპყრობა გამოიხატება მისთვის თავისუფლად გადაადგილების უფლების აღკვეთაში დროსა და სივრცეში, ამიტომ მისი ჩადენა შეიძლება, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

შეპყრობის მოქმედებით ზიანს განიცდის დამნაშავის კანონით დაცული ინტერესები: თავისუფლად გადაადგილების უფლება.

დამნაშავის შეპყრობის უფლება აქვს როგორც დაზარალებულს, ისე სხვა ნებისმიერ პირს. ხელისუფლების ორგანოების წაემომადგენლებს აკისრიათ დამნაშავის შეპყრობის ვალდებულება.

დამნაშავეს შეპყრობისას შემპყრობი ითვალისწინებს, რომ დამნაშავეს აღუკვეთავს თავისუფლად გადაადგილების უფლებას დროსა და სივრცეში და სურს კიდევაც იგი.

დამნაშავეს შეპყრობა გამიზენითი საქმიანობაა. მისი მართლზომიერად ცნობისათვის შემპყრობს უნდა ამოძრავებდეს დამნაშავეს ხელისუფლების ორგანოში წარდგენის მიზანი.

დამნაშავეს შეპყრობისას აუცილებელი ზომის გადაცილებად ითვლება შემპყრობის მიერ გამოყენებული ზომის შეუსაბამობა დამნაშავეს მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1999 წლის 22 ივლისს;
3. თ.შეაველიძე, ლ.სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988 წ.
4. Ваулин Ю. Право граждан на задержание преступника по советскому уголовному законодательству. Москва. 1981 г;
5. Таскевич И. Право гражданина на задержание преступника. Москва. 1974 г;
6. Шавгулидзе Т. Неовходима оборна. Тбилиси. 1966 г;
7. Курс советского уголовного права. Часть общая. Том 1. Ленинград. 1968 г;
8. Якубович М. Вопросы теории и практики необходимой обороны. Москва. 1961 г;
9. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1973 წელი;
10. Ткаченко В. Задержание мнимого преступника. Москва. 1974 г;
11. ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008 წელი;
12. სისხლის სამართლის სასამართლო წრეპტიკის კომენტარი, დამამაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2002 წელი;
13. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2005 წელი;